საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2020 წლის 26 ივნისი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №75/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- და -- -- 2018 წლის 6 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 10 სექტემბრის №75/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორების განცხადებით, მოსამართლე -- -- უპირობოდ აკმაყოფილებდა მოსარჩელე მხარის ყველა უსაფუძვლო შუამდგომლობას, ხოლო მათ შუამდგომლობებს იგნორირებას უკეთებდა მიუხედავად იმისა, რომ არაერთი სასამართლო აქტი წარადგინეს, რომელიც ადასტურებდა, რომ -- -- მამის - -- -- მემკვიდრეობა წლების განმავლობაში არსებული დავების საფუძველზე მიღებული ჰქონდა და ახლა „სხვა მამის“ სამკვიდროზე ჰქონდა პრეტენზია.

1.2. საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ მოსამართლე -- -- სარჩელის აღძვრისთანავე გამოხატა თანადგომა -- -- მიმართ, რადგან იგი და -- -- ძმა - -- -- ერთი კათედრის თანამშრომლები არიან -- --.

1.3. საჩივრის ავტორების მოსაზრებით, მოსამართლე თვალთმაქცურად ცდილობდა მოესპო მათთვის სერიოზული არგუმენტების წყარო, კერძოდ, უარი უთხრა მათ სასამართლოს არქივიდან სხვადასხვა საქმეების ასლების გამოთხოვაზე, რომლებშიც ეჭვი ჰქონდათ რომ გამოჩნდებოდა მოსარჩელის ნამდვილი სახე. მოსამართლე თავის უარს არქივიდან ძველი საქმეების გამოთხოვის თაობაზე სასამართლო რესურსების დაზოგვისა და გაფრთხილების აუცილებლობით ხსნიდა, მიუხედავად იმისა რომ საჭირო ფინანსურ ხარჯებს საჩივრის ავტორები გაიღებდნენ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 27 მარტს -- -- სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის თაობაზე განცხადებით მიმართა - - -- სასამართლოს.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის განჩინებით -- -- განცხადება სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 30 მარტს -- -- საჩივრით გაასაჩივრა -- -- სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის განჩინება.

2017 წლის 3 აპრილს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ მამობის აღიარების, ხელშეკრულებისა და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის, უღირს მემკვიდრედ აღიარების, მემკვიდრედ და მესაკუთრედ აღიარების, იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებებისა და ქონებრივი ტრანზაქციების ბათილად ცნობის მოთხოვნით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის განჩინებით -- -- სარჩელი მოპასუხეების -- --, -- -- და -- -- მიმართ ნაწილობრივ იქნა მიღებული წარმოებაში.

2017 წლის 10 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა -- -- საჩივარი, ყადაღა დაედო -- -- სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ნივთებს.

სარჩელი და თანდართული მასალები მოპასუხეებმა ჩაიბარეს 2017 წლის 20 აპრილს.

2017 წლის 24 აპრილს სასამართლოს საჩივრით მიმართეს მოპასუხეებმა და საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ -- -- სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის განჩინების გაუქმება ითხოვეს.

2017 წლის 1 მაისს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი.

2017 წლის 25 მაისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -- -- საჩივარი -- სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის განჩინებაზე. საქმე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის განჩინებით -- -- და -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.2. 2017 წლის 12 ივნისს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა მოპასუხეების -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, უღირს მემკვიდრედ ცნობის, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებული უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების და ამონაწერების ბათილად ცნობის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 19 ივლისის განჩინებით -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა.

2017 წლის 3 ივლისს მოპასუხეებმა საჩივრით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს 2017 წლის 19 ივლისის განჩინების გაუქმება.

2017 წლის 5 ივლისს მოპასუხეებმა წარადგინეს შესაგებელი.

2017 წლის 24 ივლისის განჩინებით მოპასუხეებს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ და საქმე გადაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 25 სექტემბრის განჩინებით -- -- და -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 16 ოქტომბერს საქმე გადაიგზავნა -- -- სასამართლოში.

2017 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 8 იანვარს.

2018 წლის 8 იანვრის განჩინებით 2/8978-17 და 2/15323-17 სამოქალაქო საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

2.3. 2018 წლის 2 აპრილის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ -- -- მოთხოვნა დაკმაყოფილდა; ყადაღა დაედო -- -- სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას (მოსამართლე -- --).

2018 წლის 30 მარტს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა მოპასუხეების -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ მამობის დადგენის, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, უღირს მემკვიდრედ ცნობის, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებული უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების და ამონაწერების ბათილად ცნობის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

2018 წლის 17 აპრილს მოპასუხეებმა წარადგინეს საჩივარი 2018 წლის 2 აპრილის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე და მისი გაუქმება მოითხოვეს. 2018 წლის 19 აპრილს მოპასუხეებმა წარადგინეს შესაგებელი.

2018 წლის 3 მაისის განჩინებით -- -- და -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

2018 წლის 4 მაისის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 26 ივნისს. 2018 წლის 25 ივნისის საოქმო განჩინებით სამოქალაქო საქმეები 2/9744-18 და 2/15323-17 გაერთიანდა ერთ წარმოებად.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- და -- -- 2018 წლის 6 მარტის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 751 მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

ბანგალორის პრინციპების პირველი ღირებულების მიხედვით სასამართლოს დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. ბანგალორის პრინციპების 1.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს თავისი სამოსამართლო ფუნქცია დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტების შეფასების საფუძველზე, სამართლის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების, წაქეზების, იძულების, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს; ამავე პრინციპის 1.2. მუხლის თანახმად მოსამართლეს დამოუკიდებელი პოზიცია უკავია მთლიანად საზოგადოებისა და იმ სასამართლო საქმის კონკრეტული მხარეების მიმართ, რომელზეც გადაწყვეტილება გამოაქვს; ხოლო 1.6 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა გამოავლინოს და წაახალისოს მოსამართლეთა ქცევის მაღალი

სტანდარტები, სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით, რაც უმნიშვნელოვანესია სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელშეწყობისთვის. ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას - აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ სამოსამართლო ფუნქციების განსაკუთრებული ხასიათი და სასამართლოს ინსტიტუტის ღირსების შენარჩუნების და მოსამართლეების ყველა სახის ზეწოლისაგან დაცვის აუცილებლობა გულისხმობს, რომ მოსამართლეები ისე უნდა იქცეოდნენ, რომ თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი ან თავიანთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“. მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლეები „ყოველთვის უნდა იქცეოდნენ იმგვარად, რომ შეინარჩუნონ დაკავებული თანამდებობის ღირსება და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.“

მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის: ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად,

წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად; გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში; ე) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად.

საქმის მასალების მიხედვით არ დგინდება საჩივრის ავტორების მითითება, რომ მოსამართლე -- -- გამოხატა თანადგომა -- -- მიმართ და იგი ცდილობდა მოესპო მათთვის სერიოზული არგუმენტების წყარო სასამართლოს არქივიდან სხვადასხვა საქმეების გამოთხოვაზე უარის თქმის გზით. განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები ვერ ასაბუთებს, მოსამართლის საქმის შედეგით დაინტერესების ფაქტს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. ამავე კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისაგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს შეაფასოს რამდენად მნიშვნელოვანია საქმისთვის კონკრეტული მასალების გამოთხოვა, ხოლო მხარეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლებლობა აქვს გაასაჩივროს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება საქმეების გამოთხოვაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ამასთან, ფაქტი, რომ მოსამართლე -- -- და -- -- ძმა - -- -- ერთი კათედრის თანამშრომლები არიან -- -- არ ქმნის მის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 5 აპრილის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №75/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი